11. აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა.

2016 წელი: გეგმა - 53,000,00 ფაქტი - 46.837

პროგრამის ბიუჯეტი 2016 წელს გასაზღვრულია - 53 000.00 ლარი.

2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ისარგებლან 92 ბენეფიციარი.

12. C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეების მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისთვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა.

2016 წელი: გეგმა - 90,000,00 ფაქტი - 38 041, 40

პროგრამის ბიუჯეტი 2016 წელს გასაზღვრულია - 90 000.00 ლარი.

2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ისარგებლან 596 ბენეფიციარი.

13.უხუცეს დღეგრძელთა დახმარების პროგრამა.

2016 წელი: გეგმა - 3 000.00; ფაქტი - 600.00

*** 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დავეხმარეთ ორს. გათვალისწინებულია 10 ბენეფიციარზე.

14.მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

2016 წელი: გეგმა - 8 550.00; ფაქტი - 7 200.00

*** 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სარგებლობს 120 ბენეფიციარი.

15.2008 წლის აგვისტოს თვეში რუსეთ-საქართველოს ომში და 2004 წლის აგვისტოს თვეში, შიდა ქართლში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს და სამშვიდობო საბრძოლო ოპერაციების დრო დაღუპულ რუსთაველ ჯარისკაცთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა

2016 წელი: გეგმა - 6 500.00 ფაქტი - 6500

*** 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სარგებლობს 11 ბენეფიციარი

16.საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

2016 წელი: გეგმა - 6 000.00; ფაქტი - 6000

*** 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სარგებლობს 60 ბენეფიციარი.

17.სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვის პროგრამა.

2016 წელი: გეგმა - 4 500.00; ფაქტი - 3000.00

*** 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სარგებლობს 9 ბენეფიციარი.

18.ვეტერანებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა.

2016 წელი: გეგმა - 24 000.00; ფაქტი - 18 586.8

*** 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სარგებლობს 1 783 ბენეფიციარი.

19. ვეტერანების სოციალური დაცვის პროგრამა.

2016 წელი: გეგმა - 32 500.00; ფაქტი - 22 756, 38

*** 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სარგებლობს 59 ბენეფიციარი.

20. ზოგიერთი ააიპ-ის და სსიპ-ის თანამშრომლებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა.

2016 წელი: გეგმა - 72 000.00; ფაქტი - 71 999.2

*** 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სარგებლობს 2 570 ბენეფიციარი.

21. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა.

2016 წელი: გეგმა - 69 600.00; ფაქტი - 49 276.89

*** 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სარგებლობს 107 ბენეფიციარი.

22. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა.

2016 წელი: გეგმა - 3 000.00; ფაქტი - 1 454,8

*** 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სარგებლობს 205 ბენეფიციარი.

23. მინდობითი ოჯახების კომუნალური დავალიანებების დაფარვის პროგრამა.

2016 წელი: გეგმა - 18 000.00; ფაქტი - 15 629.79

*** 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სარგებლობს 32 ბენეფიციარი.

24. სადღესასწაულო სოციალური ღონისძიებების პროგრამა.

2016 წელი: გეგმა - 30 755.00; ფაქტი - 16 165, 25

*** 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სარგებლობს 2 580 ბენეფიციარი.

წლებანდელ სოციალურ პროგრამებში, ერთი ახალი პროგრამა იყო დამატებული. საუბარია გარკვეული კატეგორიის რუსთაველი სტუდენტებისთვის გაწეულ მატერიალურ დახმარებაზე. პროგრამის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების წარმომადგენელ სტუდენტებს, ქალაქის მერიაში განცხადების შემოტანის შემთხვევაში, ყოველთვიურად პლასტიკურ ბარათებზე 50 ლარი ერიცხებათ. ამ პროგრამით განსაზღვრული გვექნა მგზავრობის თანხა გადაგვხადა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც რუსთავიდან თბილისის მიმართულებით ყოველდღიურად გადაადგილდებიან და რომელთა ოჯახებსაც მგზავრობის საფასურის დაფარვის საშუალება არ აქვთ.

სტუდენტების დახმარებაზე იხარჯება მერის სარეზერვო ფონდის სოლიდური ნაწილიც. საუბარია სწავლის საფასურის დაფარვაზე სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენელ წარჩინებულ სტუდენტებზე. ამისათვის რუსთავის მერიაში სპეციალური პროგრამა არ მოქმედებს, მაგრამ სტუდენტებთან პირადი გასაუბრების და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, მათი სწავლის საფასური მერის სარეზერვო ფონდიდან იფარება.

მეორე პრიორიტეტული სფერო, რომელზეც იხარჯება ქალაქის ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი ინფრასტრუქტურის განვითარებაა.

მიმდინარე წელს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის რუსთავისთვის უპრეცედენტო რაოდენობის თანხა-- თითქმის 18 მილიონი ლარი იყო განსაზღვრული. მოგეხსენებათ, ელექტრონული ტენდერების პრობებში, თანხა კლებულობს და წლის დანახარჯმა თითქმის 16 მილიონი ლარი შეადგინა. ახლა მოკლედ იმ პროექტების ჩამონათვალს წარმოგიდგინებ, რის განხორციელებაზეც დაიხარჯა ზემოთაღნიშნული თანხა.

ინფრასტრუქტურა

გზები და შიდაკვარტალური გზების ა/ბეტონის რეაბილიტაცია : 3 315 470 ლარი.

1. მოდებამის ქუჩის ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია, სახელმეკრულებო ღირებულება 493 346 ლარი. ტროტუარი-1414 მ2, სავალი ნაწილი-5953 მ2.

2. სამგორის ქუჩის(#3ა-31ა) ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია. სახელმეკრულებო ღირებულება 181 576 ლარი. სავალი ნაწილი-4370 მ2.

3. მესხიშვილის ქუჩის ა/ბეტონის საფარისა და ტროტუარების რეაბილიტაცია (დასრულდა) სახელმეკრულებო ღირებულება 677 777 ლარი. ტროტუარი(დაწნეხილი ფილა)-5624 მ2, სავალი ნაწილი-10 878 მ2.

4. კოსტავას და დონეცკელი მეტალურგების ქუჩის შიდა ეზოების ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია (18 ეზო)(დასრულდა),სახელმეკრულებო ღირებულება 407 775 ლარი. ტროტუარი-830 მ2, სავალი ნაწილი-11030 მ2.

5. წმინდა ნინოს ქუჩის დარჩენილი ნაწილის ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია (დასრულდა), სახელმეკრულებო ღირებულება 299 999 ლარი. ტროტუარი-1185 მ2, სავალი ნაწილი-3990 მ2.

6. გაგარინის ქუჩის ნაწილობრივი ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია(5 ქუჩა) (დუმბაძის გაგრძელება, კომუნალების, გაგარინის და ბოსტანქალაქის დამაკავშირებელი, ფიროსმანის და მშენებელთა ქუჩის დამაკავშირებელი, სახელმეკრულებო ღირებულება 1 254 997 ლარი. ტროტუარი-3425 მ2, სავალი ნაწილი- 16 300 მ2.

ქალაქ რუსთავში მ. კოსტავას გამზირის #1-2-3-4-5-6-7-8-9-10-11-12-13-14-15-16-17 და ფიროსმანის ქუჩის #3-5 საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია-მინათების მოწყობით და კოსტავას გამზირის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (მიმდინარე) სახელმეკრულებო ღირებულება 4 449 999 ლარი. 19 კორპუსს ჩაუტარდა ფასადების მოპირკეტების სამუშაოები. ტროტუარი(დაწნეხილი ფილა)-9648 მ2, სავალი ნაწილი(არმირებული ბეტონი და ფლეთილი ქვა)-19 348 მ2.

ადგილობრივი ბიუჯეტი - 2 629 803 ლარი.

გზები და შიდაკვარტალური გზების ა/ბეტონის რეაბილიტაცია

1. ქალაქ რუსთავში ფიროსმანისა და დუმბაძის ქუჩების დამაკავშირებელი გზის გაგანიერების (ტროტუარისა და განათების მოწყობით) და გიორგაძისა და მშვიდობის ქუჩების დამაკავშირებელი გზის ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია, სახელმეკრულებო ღირებულება 108 497 ლარი. ტროტუარი-526 მ2, სავალი ნაწილი-1321 მ2.

2. ქალაქ რუსთავში პუშკინის ქუჩის II მონაკვეთის გზის რეაბილიტაცია, სახელმეკრულებო ღირებულება 115 997 ლარი. ტროტუარი-562 მ2, სავალი ნაწილი-2500 მ2.

3. ქალაქ რუსთავში კოსტავას გამზირის მიმდებარე ხიდის რეაბილიტაცია, სახელმეკრულებო ღირებულება 276 288 ლარი. ტროტუარი-1162 მ2, სავალი ნაწილი-2413 მ2.

4. ჭავჭავაძის და რუსთაველის ქუჩის დამაკავშირებელი გზის გაგანიერება და განათების მოწყობა, სახელმეკრულებო ღირებულება 63 962 ლარი. ტროტუარი-355 მ2, სავალი ნაწილი-747 მ2.

5. მე-8 მკ/რ №9 და №2-ის მიმდებარე ტერიტორიის ასფალტის საფარის მოწყობა (დასრულდა), სახელმეკრულებო ღირებულება 62 238 ლარი. სავალი ნაწილი-1088 მ2.

6. ქალაქ რუსთავში გზების საფარის ორმული დამუშავების და კუხიანი ხიდის სადეფორმაციო ნაკერების შეკეთების სამუშაოები, სახელმეკრულებო ღირებულება 247 987 ლარი. სავალი ნაწილი-4922 მ2.

7. ქალაქ რუსთავში XVII მკრ-ნის №26 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობისა და XII მკრ-ნის №2 და მესხიშვილის I გას. №5-ში პანდუსების მოწყობის სამუშაოები, სახელმეკრულებო ღირებულება 31 624 ლარი. მოეწყო სანიაღვრე სისტემა, ტროტუარი-112 მ2, სავალი ნაწილი- 350 მ2.

8. ქალაქ რუსთავში მეგობრობის გამზირზე გაზონებისა და ტროტუარების მოწყობის (კორპ №1 და №2-ის მიმდებარედ) სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულება 192 761 ლარი. ტროტუარი (დაწნეხილი ფილა)-3400 მ2, ტროტუარი(ა/ბეტონი)-255 მ2.
9. დიდების მოედნიდან ხიდამდე ტროტუარების და დეკორატიული ღობის მოწყობა, სახელშეკრულებო ღირებულება 208 623 ლარი. ტროტუარი-3941 მ2.
10. ქალაქ რუსთავში რუსთაველის ქუჩის შიდა ეზოების სარეაბილიტაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობის სამუშაოები (55 ეზო), სახელშეკრულებო ღირებულება 1 237 844 ლარი. ტროტუარი-1002 მ2, სავალი ნაწილი-27 065 მ2.
11. ქალაქ რუსთავში სპორტის ქ. #2, შარტავას გამზ. #9 ეზოებში ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაციისა და დ. გარეჯის #21 გარშემო სარინერისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულება 99 880 ლარი. სარინერი-400 მ2, სავალი ნაწილი-2109 მ2.
12. ქალაქ რუსთავში საცხოვრებელ კორპუსებში პანდუსების მოწყობისა და #37 ბაღთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (8 პანდუსი), სახელშეკრულებო ღირებულება 40 177 ლარი. სავალი ნაწილი-706 მ2.
13. 112-ის შენობის მიმდინარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (დასრულდა), სახელშეკრულებო ღირებულება 20 000 ლარი. ტროტუარი(ფლეთილი ქვა)-280 მ2, .

სპორტული და გასართობი მოედნები

1. ქალაქ რუსთავში კოსტავას გამზ. №22-თან და მესხიშვილის ქუჩის II გას. №4-სა და №6 შორის სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები (2 სტადიონი), სახელშეკრულებო ღირებულება 48 958 ლარი.
2. 10 სპორტული მოედნის მოწყობა, სახელშეკრულებო ღირებულება 426 925 ლარი.
3. მე-14 მკ/რ N44-45 მიმდებარე ტერიტორიაზე ბავშვთა გასართობი კუთხის მოწყობა, სახელშეკრულებო ღირებულება 24 964 ლარი.
4. ქალაქ რუსთავში 5 სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, ქალაქ რუსთავში XII მკ/რ-ში #4-ში საბავშვო მოედნის მოწყობის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულება 223 641 ლარი.

შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/რემონტი

1. მეგობრობის გამზ. N15, 19, 23 კორპუსების ფასადების შეღებვის(აივნებზე ალუკობონდი)სამუშაოები (3 კორპუსი)(დასრულდა), სახელშეკრულებო ღირებულება 409 999 ლარი.
2. ჩეხოვის ქუჩა N10ა საცხოვრებელი სახლის ტკეპისკედლებიანი ფასადის გამაგრება კორპუსი (დასრულდა), სახელშეკრულებო ღირებულება 30 088 ლარი.
3. N6 საბავშვო ბაღის რემონტი და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (მიმდინარე), სახელშეკრულებო ღირებულება 116 929 ლარი.

4. ვახუშტის ქუჩაზე არსებული საჭიდაო დარბაზის სარემონტო სამუშაოები (დასრულდა), სახელშეკრულებო ღირებულება 47 984 ლარი.
5. წმ. ნინოს ქუჩა №1-ში მდებარე კულტურის ცენტრის შენობის შიდა სარემონტო სამუშაოები , სახელშეკრულებო ღირებულება 52 472 ლარი.
6. ბათუმის ქ. №30-ის I სადარბაზოს II და III სართულების აივნების სარეკონსტრუქციო სამუშაოები , სახელშეკრულებო ღირებულება 13 436 ლარი.
7. ქალაქ რუსთავში კლდიაშვილის #8-ში მდებარე #20 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის გამაგრება-გადლიერების სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულება 43 824 ლარი.
8. ქალაქ რუსთავის მუნიციპალური თეატრის საგრიმიოროების სარეაბილიტაციო სამუშაოები (მიმდინარე), სახელშეკრულებო ღირებულება 115 993 ლარი.
9. ქალაქ რუსთავში მუზეუმის შენობის სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები (დასრულდა), სახელშეკრულებო ღირებულება 12 980 ლარი.

სხვადასხვა სამუშაოები:

- ქალაქ რუსთავში კოსტავას გამზ. №№ 15-16-ის წინ და ბარათაშვილისა და კოსტავას გამზირის გადაკვეთაზე შუქნიშნების მოწყობის სამუშაოები (დასრულდა), სახელშეკრულებო ღირებულება 55 456 ლარი.
1. ქალაქ რუსთავში შარტავას გამზ. №7-თან ცენტრალურ გზაზე შუქნიშნის მოწყობისა და ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულება 29 787 ლარი.
 2. მე-11 მკრ. N7 და N8 დევნილების ჩასახლებულ შენობებში სადარბაზოების შესასვლელების მოწყობა(7 შესასვლელში გაკეთდა) , სახელშეკრულებო ღირებულება 9 881 ლარი.
 3. ქალაქ რუსთავში შარტავას გამზირზე შუა გამყოფი ზოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (მიმდინარე), სახელშეკრულებო ღირებულება 187 180 ლარი.
 4. ქალაქ რუსთავში მეგობრობის გამზ. გაზონების მოწყობის (კორპუსი #15-დან კორპუსი #27-მდე დეკორატიული კედლით და ღობით) სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულება 55 142 ლარი.
 5. ქალაქ რუსთავში სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების (ე.წ. „მწოლიარე პოლიციელები“) მოწყობის სამუშაოები (7 მისამართზე) , სახელშეკრულებო ღირებულება 23 600 ლარი.
 6. წმინდა ნინოს ქუჩიდან ცენტრალურ პარკში ჩასასვლელი კიბის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულება 50 740 ლარი.
 7. ქალაქ რუსთავში სანაპიროს ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულება 42 479 ლარი. მოეწყო სანიაღვრე სისტემა და სავალი ნაწილი- 183 მ2.

სახურავების რეაბილიტაცია

1. საცხოვრებელი კორპუსების სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები (11 კორპუსი), სახელშეკრულებო ღირებულება 18 086 ლარი.
2. ქალაქ რუსთავში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი კორპუსების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები (31 კორპუსი), სახელშეკრულებო ღირებულება 305 823 ლარი (დაფინანსდა სტიქიის ნარჩენი თანხებით).

გზები და შიდაკვარტალური გზების ა/ბეტონის რეაბილიტაცია

5 945 273 ლარი
ტროტუარი-23 206 მ²
სავალი ნაწილი-95 392მ²

ქალაქ რუსთავში მ. კოსტავას გამზირის #1-2-3-4-5-6-7-8-9-10-11-12-13-14-15-16-17 და ფიროსმანის ქუჩის #3-5 საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია-მინათების მოწყობით და კოსტავას გამზირის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (მიმდინარე) სახელშეკრულებო ღირებულება 4 449 999 ლარი. 19 კორპუსს ჩაუტარდა ფასადების მოპირკეტების სამუშაოები. ტროტუარი(დაწნეხილი ფილა)-9648 მ², სავალი ნაწილი(არმირებული ბეტონი და ფლეთილი ქვა)-19 348 მ².

რუსთავის საბავშვო ბაღების სველი წერტილებისა და წყალკანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (14 ბაღი) №№1, 6, 11, 17, 20, 21, 23, 27, 31, 36, 37, 40, 41, 43; (დასრულდა), სახელშეკრულებო ღირებულება 917 187 ლარი.

სპორტული და გასართობი მოედნები
724 488 ლარი.
შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/რემონტი
843 705 ლარი.
სახურავების რეაბილიტაცია
323 909 ლარი. 14 398 მ²
სხვადასხვა სამუშაოები
454 265 ლარი.

შემენილია 345 300 ლარის სპეციალური ტექნიკა.
პროექტი, რომელზეც განსაკუთრებით მინდა გავამახვილო ყურადღება არის ძველი რუსთავის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელებული კოსტავას გამზირის რეაბილიტაცია. თქვენ იციათ, რომ პროექტის განხორციელება დასასრულს უახლოვდება,

სამუშაოები წლის ბოლომდე რიცხვებისთვის დასრულდება და შედეგად მივიღებთ ქუჩას, რომლითაც ქალაქის სავიზიტო ბარათი იქნება.

„რუსთავის კორპუსის“ მიერ 2016 წლის ნოემბრამდე შესრულებული სამუშაოები

სხვადასხვა სამუშაოები აქვს ჩატარებული ააიპ „რუსთავის კორპუსსაც“. რუსთავის კორპუსი შედარებით მცირე ბიუჯეტთან, მაგრამ ქალაქისთვის უაღრესად მნიშვნელოვან პროექტებზე მუშაობს. მიმდინარე წელს კორპუსის მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიში ასე გამოიყურება:

2016 წლის საანგარიშო პერიოდში საპროექტო-სააღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნისთვის „ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული სამუშაოებისთვის დამზადდა 473 პროექტი.ჯამში დაკმაყოფილდა 248 სხვადასხვა ტიპის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები. მოგეხენებათ, საცხოვრებელი კორპუსის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები ფინანსდება 100%-ით. (რბილი გადახურვა,ქანობიანი გადახურვა.) რბილსაფარიანი გადახურვა შესრულდა 45 მისამართზე 21958.2 კვ.მ,რამაც თანხობრივად შეადგინა 317. 453.43 ლარი. ასევე, გადაიხურა ქანობიანი სახურავი 14 მისამართზე, 6949 კვ.მ, ღირებულებით 116.551.91 ლარი, სადაც ააიპ „რუსთავის კორპუსი“-ს წილმა შეადგინა 434.005.34 ლარი.

თანადაფინანსების პრინციპით, (10% - 90%) შიდა წყალ-კანალიზაციის რეაბილიტაცია ჩატარდა 64 მისამართზე,შეიცვალა 3477.68 გრ.მილი,ღირებულებით 107.798 ლარი.ააიპ „რუსთავის კორპუსი“-ს წილმა შეადგინა 99. 623.72 ლარი.

წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაციაც ტარდება (20%- 80%) თანადაფინანსების პრინციპით, შეიცვალა 1287 გრ.მ საწვიმარი მილი, ღირებულებით 29.067.02 ლარი.ააიპ „რუსთავის კორპუსი“-ს წილმა შეადგინა 23.253.59 ლარი.

სადარბაზოს რკინის კარების დამზადება-მონტაჟი სრულდება (10% - 90%) თანადაფინანსების პრინციპით. დაკმაყოფილდა 59 განცხადება. დამზადდა და დამონტაჟდა 168 ცალი რკინის კარი, ღირებულებით 132.085.64 ლარი. ააიპ „რუსთავის კორპუსი“-ს წილმა შეადგინა 118.877.06 ლარი.

სადარბაზოების შიდა რემონტის (კიბის უჯრედი,მეტ. პლას. ფანჯრები, კოსმეტიკური რემონტი) რეაბილიტაციის ღირებულებამ შეადგინა (10% - 90%) 18.018.76 ლარი. ააიპ „რუსთავის კორპუსი“-ს წილი აქედან იყო 16.216.90 ლარი.

პანელოვანი შენობათა სართულებზე ნაპრალების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე (10% - 90%) დაიხარჯა 42.764.26 ლარი. აქედან ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“-ს წილმა შეადგინა 38.487.84 ლარი.

სენსორული განათების მოწყობაც სადარბაზოებში ხდება თანადაფინანსების პრინციპით: დამონტაჟდა 97 ცალი სენსორული განათება, ღირებულებით 30.763.7 ლარი . „რუსთავის კორპუსი“-ს წილმა შეადგინა 23.906.10 ლარი.

სადარბაზოს შესასვლელი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის შეკეთებზე დაიხარჯა (10% - 90%) 27.147 ლარი. აქედან „რუსთავის კორპუსი“-ს წილმა შეადგინა 21.717.6 ლარი.

ამხანაგობის კუთვნილი ტერიტორიის დაფიქსირების (გამიჯვნა 50%-50%) ღირებულება იყო 5061.3 ლარი. ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსი“-ს წილმა შეადგინა 2530.65 ლარი.

საქსპერტო მომსახურებისთვის გათვალისწინებული იყო 90.000 ლარი.დღეის მდგომარეობით, ათვისებულია 53.515 ლარი.მათ შორისაა 2015 წლის შესრულებული სამუშაოებიდან გადმოსული საექსპერტო ხარჯებიც.

მიმდინარე 2016 წლის მდგომარეობით, ააიპ „რუსთავის კორპუსი“-ში მოქმედი „ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული კაპიტალური ხარჯებიდან ათვისებული იქნა 810. 288.65 ლარი.

ა(ა)იპ „უზრუნველყოფა“

გარკვეული სახის სამუშაოებს ასრულებს ა (ა) იპ უზრუნველყოფაც. მოგეხსენებათ, აღნიშნული ა(ა)იპ-ის ადფუძნება სწორედ იმ აუცილებლობიდან გამომდინარე მოხდა, რომ ქალაქის გამწვანებაზე და მის კეთილმოწყობაზე გვეზრუნა. მიმდინარე წლის განმავლობაში, „უზრუნველყოფის“ მიერ შესრულებული სამუშაოების არასრული ნუსხა ასე გამოიყურება:

კულტურისა და დასვენების პარკში დაირგო 800 ძირი სხვადასხვა სახეობის ხის ნერგი მათ შორის: მუხა, იტალიური ფიჭვი, ქართული ფიჭვი, ტირიფი, კიპარისი, ტუია, პაულოვნია, იაპონური ალუბლის და საპნის ხე. კირით დამუშავდა და შეიღება 500 ძირი ხე.

თბილისი ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე და შარტავას გამზირზე 590 ძირი კიპარისი დაირგო.

„უზრუნველყოფის“ სანერგე მეურნეობაში, 5600 ძირი სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარე და 10 000 ლარის ღირებულების დეკორატიული მცენარე იქნა გამოყვანილი.

მოწყო 150 მ სარწყავი სისტემა 32მმ-იანი მილით. გადაკეთდა სარწყავი სისტემის გამშვები და ჩამკეტი ღერძი.

გაიწმინდა 375 და შეკეთდა 102 სანიაღვრე ჭა, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა 700გ/მ კოლექტორს.

ქალაქის სხვადასხვა უბნებში მოსახლეობის მოთხოვნით რეაბილიტაცია ჩაუტარდა სანიაღვრე ქსელს. მაგალითად: მარჯანიშვილის ქუჩის №7 -ის ეზოში მოსახლეობის მოთხოვნით მოეწყო ახალი სანიაღვრე.

თბილისის ქუჩის №37-ის ეზოში გაიწმინდა სანიაღვრე კოლექტორი, იქვე მოსახლეობის მოთხოვნით, დამონტაჟდა ე.წ. შემკრები ჭა და გამოიცვალა 48 მეტრის სიგრძის გოფრირებული მილი;

სანიაღვრე ჭების გამოიცვალა 1 მაისის ქუჩაზე №8 ისა და №10 კორპუსებს შორისაც.

ფალიაშვილის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე კოლექტორის ამორტიზებული მილი შეიცვალა ახალი 400 მმ-იანი, 6 მეტრის სიგრძის მილით.

თბილისის ქუჩის №37 -ის მდებარე ტერიტორიაზე მოხდა ახალი 400 მმ-იანი, 6 მეტრის სიგრძის გოფრირებული მილის მონტაჟი.

მესხიშვილისა და თოდრიის ქუჩების კვეთაზე არსებულ წრეზე მოხდა დამატებითი სანიაღვრე ქსელის მოწყობა, სადაც ჩაიდო 12 მეტრის სიგრძის და 300 მმ-იანი დიამეტრის გოფრირებული მილი.

ანალოგიური სამუშაოები ქალაქის თითქმის ყველა უბანში მოსახლეობის მოთხოვნის მიხედვით ტარდება.

იაღლეუჯის მთის ფერდობზე დამონტაჟდა წყლის 4 ცალი 5 ტონიანი რეზერვუარი. საიდანაც 3 ჰა-მდე მიწის ნაკვეთის მორწყვა ხდება. მოგეხსენებათ, აქ იაღლეუჯის გამწვანების პროექტის ფარგლებში, 3000 ძირი ელდარის ფიჭვია დარგული.

აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა საცხოვრებელი სახლების ეზოებში განთავსებულ სპორტულ და საბავშვო გასართობ 12 მოედანს და 7 მინი სტადიონს. 31 ცალი ახალი ჩარჩო ცხაური დამონტაჟდა 26 მისამართზე.

მიმდინარე წელს გარე განათების მოწყობის პროექტის ფარგლებში, დამონტაჟდა 140 ცალი ახალი სანათი.

კოსტავას #18, 19, 21, 22, 23 კორპუსებზე დამონტაჟდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 200 ცალ სანათს.

აღდგენილ იქნა მაღალსართულიანი კორპუსების ფასადების დეკორატიული განათება.

ქალაქის გარე განათების სამუშაოების შეუფერხებლად მუშაობისთვის შეძენილი იქნა ამწე კალათა. (DAEWOO NOVUS SE რომლის აწევის სიმაღლე 43 მეტრია.)

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავება“

ა(ა)იპ “ქალაქ რუსთავის დასუფთავება” 2016 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 2.947.510 ლარს. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე ელექტრონული ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ შპს „ავტომობილი 2003“-თან გაფორმდა ხელშეკრულება 1.265.600 ლარზე. ქალაქიდან ყოველდღიურად ხდება 80-90 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა.

დასუფთავების სამსახური ყოველდღიურად ზრუნავს ქალაქის სისუფთავზე, ახორციელებს აღნიშნული საქმიანობის წესების დაცვის კონტროლს და ზედამხედველობას. ყოველდღიურად ხდება ქალაქის მთლიანი ტერიტორიის: ქუჩების, პარკების, სკვერების და სხვა საჯარო ადგილების დაგვა-დასუფთავება. 2016 წლის 1-ლი იანვრიდან ხდება შიდა ეზოების დაგვა-დასუფთავებაც. განხორციელდა ძველი, მწყობრიდან გამოსული კონტეინერების ახლით ჩანაცვლება.

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავების“ ფუნქციებში შედის ქალაქის ტერიტორიაზე მყოფი უპატრონო, მიუსაფარი ძაღლების მოვლა-პატრონობაც. შეიქმნილია „უპატრონო, მიუსაფარი ძაღლების დაავადებათა და პოპულაციების მართვის განყოფილება“, რომლის ფუნქცია-მოვალეობებში შედის: უპატრონო, უმეთვალყურეო ცხოველების ჰუმანური, საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული მეთოდებით იზოლაცია და ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება. აქვე ხდება ამ ცხოველების ვაქცინაცია და სტერილიზაციაც.

სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში ახდენს რეაგირებას 112-დან და მერიის ცხელი ხაზიდან შემოსულ ზარებზე, როგორც უპატრონო ძაღლების მიერ მოსახლეობაში შექმნილ პრობლემებთან, ასევე დასუფთავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დასასრულს მინდა ყურადღება გავამახვილო ევროკავშირის თანადაფინანსებით განხორციელებულ პროექტზე, რომელიც რუსთავში სამი საბავშვო ბაღის ენერგოეფექტურ რეაბილიტაციას ითვალისწინებს, რომ უკეთ შეგექმნათ წარმოდგენა, თუ რას ითვალისწინებს აღნიშნული პროექტი, მოგახსენებთ, რომ მერების შეთანხმების სადემონსტრაციო პროექტების პროგრამის ფარგლებში რუსთავში ხორციელდება პროექტი - „ქალაქ რუსთავში სამი საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია ენერგოეფექტურობის მაღალი სტანდარტის მიღების და ნახშიროჟანგის ემისიების შემცირების მიზნით“. პროექტის მიზანია რუსთავის №40, №41 და №6 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში ამ სამ საბავშვო ბაღში ცენტრალური გათბობის, მეტალო-პლასტმასის ფანჯრების, ენერგოეფექტური ნათურების და ცხელი წყლის მომარაგებისთვის მზის კოლექტორების მონტაჟი, ასევე ყველა გარე კონსტრუქციის დათბუნება მოხდება.

პროექტის ხანგრძლივობა 2 წელია და 2015 წლის 1 აპრილიდან , 2017 წლის 1 აპრილამდე განხორციელდება. მას „მდგრადი განვითარებისა და პოლიტიკის (SDAP) ცენტრი“ და ქალაქ

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია ერთობლივად ვანხორციელებთ, დამფინანსებელია ევროკავშირი, თანადამფინანსებელი კი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაა.

პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 808 765 ევროს შეადგენს. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის წილი ამ თანხის 20%-ი - 162 238 ევროა.

2015 წლის 19 ნოემბერს დაიწყო რუსთავის #6 საბავშვო ბაღის ენერგოეფექტური რეკონსტრუქციის პირველი ეტაპი, რომელიც 2016 წლის 20 თებერვალს დასრულდა.

პროექტის პირველი ეტაპის ფარგლებში №6 საბავშვო ბაღში გათბობისა და ცხელი წყლის მომარაგების სისტემების (მზის კოლექტორებთან კომბინაციაში), მოდინებული-გამწოვი სავენტილაციო სისტემის, ახალი ელექტროტექნიკური სისტემის, ენერგოეფექტური ფანჯრების დამონტაჟება მოხდა.

რეკონსტრუქციის სამუშაოები სააქციო საზოგადოება „საქვეთქმრეწვმა“ შეასრულა.

რეკონსტრუქციის მეორე ეტაპი ზაფხულში დაიწყო და მოხდება შენობის გარე კონსტრუქციის დათბუნება და მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება.

2016 წლის აპრილში #40 საბავშვო ბაღის ენერგოეფექტური რეკონსტრუქციის პირველი ეტაპი დავიწყეთ. მე-40 საბავშვო ბაღის შენობის სრული ენერგოეფექტური რეაბილიტაციის პირველი ეტაპი აგვისტოს ბოლოს, ხოლო მეორე ეტაპი, კი 2017 წლის შემოდგომაზე უნდა დასრულდეს. პროექტის განხორციელების შემდეგ, რუსთავში სამი ენერგოეფექტურად რეაბილიტირებული, ევროსტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი იფუნქციონირებს.

ააიპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“

ააიპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრმა“ 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება ჩაატარა გარდა საახალწლო ღონისძიებისა, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის 31 დეკემბერს.

„სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრის“ პროგრამული ბიუჯეტი შეადგენს - 319 250 ლარს (აქედან 100 000 საახალწლო ღონისძიებისთვის) და მოიცავს წლის განმავლობაში გამართულ სხვადასხვა 15 სხვადასხვა ღონისძიებას, საიდანაც ყველაზე მასშტაბური იყო „რუსთაველაქობა“. „რუსთაველაქობის“ ფარგლებშივე ჩატარდა მოქანდაკეთა პირველი სიმპოზიუმი რუსთავში. სიმპოზიუმის ფარგლებში შექმნილი 10 სკულპტურული ნამუშევარი ქალაქის ქუჩებში უნდა განთავსდეს. გვაქვს დიდი სურვილი, რომ სიმპოზიუმმა ტრადიციული ხასიათი მიიღოს და მომავალი წლიდან საერთაშორისო მასშტაბის გახდეს.

ა(ა)იპ „რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრი“

ა(ა)იპ „რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრის“ სპორტსმენებმა, 2016 წელს არაერთი საპრიზო ადგილი დაიკავეს, როგორც საქალაქაშორისო ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

მიმდინარე წლის 21-29 მაისს, ბუქარესტში გამართულ მკლავჭიდის საერთაშორისო ტურნირზე, გიორგი მელიქიშვილმა პირველი ადგილი დაიკავა. ასევე, აღსანიშნავია თურქეთში მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადაზე ბექა ქურულის მიერ მოპოვებული მეორე ადგილი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. განსაკუთრებით გამოირჩევიან 2015 წლის ევროპის ჩემპიონები აკრობატიკაში, რომლებმაც 5-10 ოქტომბერს, პოლონეთში საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავეს. გუნფუ-სანდასა და გრეპლინგში კი, 12 პირველი, 6 მეორე და 2 მესამე ადგილი აიღეს რუსთაველებმა. რუმინეთში გამართულ მსოფლიო პირველობაზე სამბოში, რუსთაველმა გაგი ლიჩელმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. 1-10 ოქტომბერს ბულგარეთში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი მკლავჭიდში, სადაც გიორგი

მელიქიშვილი პირველი ადგილის მფლობელი გახდა. თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე კი, რომელიც ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში ჩატარდა, ოქროს მედალი ბექა გურულმა მოიპოვა. საერთო ჯამში, საზღვარგარეთ გამართულ ასპარეზობებზე რუსთაველ სპორტსმენებს 30 საპრიზო ადგილი აქვთ მოპოვებული.

რაც შეეხება საქართველოში გამართულ საერთაშორისო ტურნირებს, აქ რუსთაველმა სპორტსმენებმა, 45 პირველი, 22 მეორე და 21 მესამე ადგილი მოიპოვეს. უნდა აღინიშნოს საქალაქთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირებიც. ააიპ „რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრი“-ს აღსაზრდელებმა, საერთო ჯამში, წელს რუსთავს, 591 მედალი მოუტანეს, მათ შორის 228 პირველი ადგილია.

„ა(ა)იპ „რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრის“ 2016 წლის ბიუჯეტი, 1230 000 ლარია, ამ თანხის ძირითადი ნაწილი სწორედ ამ სპორტსმენების დაფინანსებასა და ტურნირების გამართვაში იხარჯება. თითოეული იმ სპორტსმენის ტურნირზე გამგზავრების ხარჯი, რომლებიც „სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრის“ ფარგლებში, არსებულ სპორტულ სკოლებში ვარჯიშობენ, 100%-ით ბიუჯეტიდან იფარება.

მოკლედ შევეხებით ახალგაზრდულ პროექტებსაც და განსაკუთრებით მინდა ყურადღება გავამახვილო ახალგაზრდების გადამზადების პროექტზე, რომელიც წელს პირველად განხორციელდა.

პროგრამა ხორციელდება ორ ნაკადად ააიპ „ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის“ და სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსის“ ორგანიზებით. ბენეფიციარები სწავლებას გადიან შპს „ლუკოს“ სამკერვალო ფაბრიკაში. პირველი ნაკადის სწავლება დაიწყო 2016 წლის 24 ოქტომბერს და დამთავრდა 2016 წლის 25 ნოემბერს. ხუთ კვირინი სასწავლო კურსი გაიარა 53 ბენეფიციარმა აქედან 15 ბენეფიციარი დასაქმდა სამკერვალო ფაბრიკა შპს „ლუკოში“ ხოლო 20 ბენეფიციარი ქ.თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ჯეოტექსში“.

მეორე ნაკადის სწავლება დაიწყო 2016 წლის 28 ნოემბერს და სწავლება დასრულდება 2016 წლის 31 დეკემბერს სულ პროგრამის ხარჯი 5966.70 ლარია. ვფიქრობ, რომ საკაოდ საინტერესო პროექტი გამოვიდა, რადგან აქ მარტო პერეკვალიფიკაციაზე კი არ არის საუბარი, არამედ ამ პროექტში ჩართული ახალგაზრდებს დასაქმების პერსპექტივაც უჩნდებათ.

ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია საზაფხულო ბანაკების პროექტიც, რომელსაც უკვე ორი წელია რაც ვახორციელებთ. პროგრამის ბენეფიციარები სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები არიან. საზაფხულო ბანაკებში წელს 180 ბავშვის წაყვანა შევძელით და ეს ქალაქის ბიუჯეტს 44 550 ლარი დაუჯდა. „ახალგაზრდობის განვითარების და ხელშეწყობის ცენტრმავე გაუკეთა ორგანიზება ექსკურსიებს ახალგაზრდებისთვის, რაზეც ცენტრის ბიუჯეტიდან 10 000 ლარია დახარჯული.

ეს იყო მოკლე და არასრული ჩამონათვალი იმ პროექტებისა, რისი განხორციელებაც რუსთავის მერიამ 2016 წლისთვის შეძლო. მომავალი წლის ბიუჯეტში პრიორიტეტი ისევ ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება და სოციალური პროექტები იქნება.

